

"ახალი ეპოქა "

3

23-29 იანვარი, 2004 წელი

საქართველო ად ინტერიმ

სულხან მეტრეველი

საქართველოში მიმდინარე პროცესებმა, რომელთა მოწმენიც ჩვენ სულ რამდენიმე კვირის წინ გავხდით, ჩემი ცხოვრებიდან ორი ეპიზოდი გამახსენა. პირველი - იმდროინდელი, ათიოდე წლისა რომ ვიყავი და ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობის მოპოვებას აპირებდა. მაშინ უსაზღვროდ ხარობდა ყველა და ცხოვრებას მართლ "ბორჯომის" გაყიდვითა და იქიდან მონაგები ფულის ამარაც კი ვიმედოვნებდით. მეორე მაშინდელი, ელჟარდ შევარდნაძე რომ ჩამოვიდა საქართველოში. რა დამავიწყებს ტელევიზიით გადაცემულ იმ რეპორტაჟს, საქართველოს ახალი გმირი გამოცარიელებული მაღაზიის დასათვალიერებლად რომ შევიდა. იქ მხოლოდ ერთი წყვილი ფენსაცმლის ყიდვა შეიძლებოდა, ეს იყო და ეს.

ამ ორ ამბავსა და დღევანდელ პროცესებს პირადად ჩემთვის ის აკავშირებს, რომ ქართველი ხალხი სამივეჯერ რაღაც არნახულის, შესანიშნავის მოლოდინში იყო, ჰქონდა იმედი და მზად იყო, ამ იმედისთვის ისიც კი შეეწირა, რაც აქამდე არსებობდა, რაც უამრავ მიტინგს, ომსა თუ რევოლუციურ მოძრაობას სასწაულით გადაურჩა. კიდევ საერთო ამ ამბებს ისა აქვთ, რომ სათავეში მოქცეულ "ახალ" პოლიტიკურ ელიტებს არ მოსწონდათ ძველი პოლიტიკური სისტემა და მას დემოკრატიით, "ნამდვილი ქართული" დემოკრატიით უპირებდნენ შეცვლას.

იშვიათად ყოფილა საქართველოს მოსახლეობა ისე ერთსულოვანი, როგორც ახლა, ამ ოთხ იანვარს. ცოტა იყო ქართველი, ჩვენს ქვეყანაში მყოფი თუ საზღვარგარეთ მცხოვრები, რომელიც საყოველთაო აღმაფრენას არ იზიარებდა. ცოტა კი არა, ძალიან ცოტა და, ვიტყვოდი, დემოკრატიისთვის შემაშფოთებლად ცოტა. არჩევნების შედეგების სისწორეში არც არავის შეჰპარვია ეჭვი, ლეიბორისტული პარტიის გარდა, რომელმაც უხეში პოლიტიკური მანევრების გამო უკანასკნელ რამდენიმე კვირაში მძიმე პოლიტიკური დანაკლისი განიცადა.

საქმე ის არის, რომ ამ შემაშფოთებლად ცოტა "აღმაფრენაგაუზიარებლის" რიცხვს მეც ვეკუთვნოდით. უადრესად დამაფიქრებელი უნდა იყოს ადამიანისთვის ეს ფაქტი. ჰოდა, ჩემთვის, საქართველოს ერთ-ერთი უბრალო მოქალაქისთვის, პასუხის ძიება კითხვაზე, რატომ არ ვდგავარ იქ, სადაც ჩემი ხალხის უმეტესობა - აბსოლუტური უმეტესობა - დგას, აუცილებელი გახდა.

მიზეზი ბოლოდროინდელი ამბებისადმი ჩემი სკეპტიციზმისა უფრო კომპლექსურია და სათავეს პროცესების არალეგიტიმურობიდან იღებს.

სწორედ ამ ლეგიტიმურობა-არალეგიტიმურობიდან იწყება ჩემი ის კოგნიტიური პრობლემები, რომლებიც დეკემბრის დღეებში "სი-ენ-ენს" მიშტერებულს წარმოემქმნა. პროტესტის გამოთქმა არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ნებისმიერი ადამიანის უფლებაა (საერთოდ პროტესტის გამოთქმა ნებისმიერი ადამიანის უფლებაა ნებისმიერ დროს) და საქართველოში რომ ვყოფილიყავი, მეც აუცილებლად დავუჭერდი მხარს ასეთ აქციებს. ოღონდაც, საქმე ის არის, რომ გამართლება ვერაფრით მოვუძებნე ათიათასობით მომიტინგე ქართველის მოთხოვნებს, გადამდგარიყო პრეზიდენტი...

მოდით, აქ დროებით გადავუხვიოთ თემას, რომელზეც ვსაუბრობდით და შევთანხმდეთ ერთ რამეზე:

პრეზიდენტი ჩემთვის არ ნიშნავს არც ედუარდ შევარდნაძეს და არც მიხეილ სააკაშვილს, პრეზიდენტი ჩემთვის ქართული სახელმწიფოს არსებობისთვის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, განურჩევლად იმისა, თუ ვინ არის ამ პოსტზე. ასევე პარლამენტი და სხვა ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულება.

მე მგონია, ამით მთავარ სათქმელსაც მივადექით: სწორედ ეს უნდა იყოს თავიდათავი ჩემი უკმაყოფილებისა. საკვირველი სწორედ ის იქნება, უკმაყოფილება არ გამოიწვიოს იმ ამბავმა, რომ ქართველი ხალხი ათი წელიწადია, ცდილობს, შექმნას ლეგიტიმური, დემოკრატიული ინსტიტუტები, რომლებიც შემდეგ მის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას უზრუნველყოფს და ვერაფრით ახერხებს ამას. ვერ ახერხებს ვერც ქართველი ხალხი და ვერც სახელმწიფოს სათავეში მოქცეული პოლიტიკური ელიტა. ჩვენ გამუდმებით გვესმის ამ ახალი ქართული არისტოკრატიისგან, რომ საჭიროა ფუნდამენტური რეფორმები, რომ ყველაფერი თავიდან ბოლომდე შესაცვლელი და რომ ასე ანდა ასეთ (პოლიტიკურ) სისტემაში ცხოვრება გაუსაძლისია. მოდით, ნუ დაუკარგავთ ამ ხალხს იმას, რაც გაუკეთებია: ისინი, მართლაც, საფუძვლიანად ცვლიდნენ სისტემებს. პირველებმა საქართველოს კომუნისტური კონსტიტუციური საფუძველი გამოცვალეს და მერე ისევ ეს საფუძველი შეუყენეს "ახალ ქვეყანას", მცირეოდენი ცვლილებებით. თანამედროვე ქართველი დიასახლისი ასეთ რამეზე იტყვის - კოსმეტიკური რემონტი გავაკეთეო. საქართველოს სსრ საქართველოს რესპუბლიკით შეიცვალა, წითელი ცისფერზოლებიანი დროშა - სამფერაითი. შეიცვალა კიდევ ის, რისი შეცვლაც ქართულ სახელმწიფოს კი არა, ახალ პოლიტიკოსებს აძლევდათ ხელს სახელმწიფოს სამართავად. ამ ხალხმა საფუძველი დაუდო ტრადიციას, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება. მათ ქართული კონსტიტუცია მოარგეს საკუთარ ინტერესებს და არა ახალ ქართულ პოლიტიკურ სისტემას, რომლის სტაბილურობაც კარგი ძირითადი კანონის გარეშე წარმოუდგენელია. კონსტიტუციების საკუთარ სხეულზე მორგება რომ დიდხანს არ გამოდგება პოლიტიკურ აბჯრად, ეს მანამდეც ხშირად შეუნიშნავთ პოლიტოლოგებს, სანამ საქართველო დამოუკიდებლობას მოიპოვებდა და პირველი ქართველი პრეზიდენტის დაისმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ძველი თეორია. დაადასტურა ბევრისთვის, მაგრამ არა იმ ადამიანებისთვის, ვინც ეს პრეზიდენტი შეცვალა. საკუთარ სხეულზე კონსტიტუციის მორგების უკვე "ქართული ტრადიცია" მათაც შესანიშნავად განაგრძეს. მე, როგორც თხუთმეტი წლის სკოლის მოწაფე, აღფრთოვანებით შევხვდი ამ დოკუმენტის მონახაზს. მახსოვს, შინ საპატიო ადგილას გვექონდა შენახული ახალი კანონის პირველი ვერსიები და მე ისინი იმდენჯერ წავიკითხე, რომ ზეპირად დასწავლას არაფერი მაკლდა. სწორედ თხუთმეტი წლის პატრიოტული, უფრო სწორად, ზეპატრიოტული იდეებით გამსჭვალული ბავშვი თუ ვერ დაინახავდა იმას, რომ 1995 წლის 24 აგვისტოს დაბადებული ეს კანონი მეორე რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციაზე არანაკლებ უდღეური და უმოქმედო იქნებოდა. არასდროს დამავიწყდება ელდარ შენგელაიას ფილმის - "ცისფერი მთები ანუ ტიანშანი" - ის ეპიზოდი, კომუნისტური უწყებებიდან მსახიობები რომ გარბიან და ერთ-ერთი მათგანი კითხულობს: "გამაგებინეთ, რა დაწესებულებაში ვართ?" სწორედ ეს არის კითხვა, რომელზე პასუხიც ბევრ სხვასავით უკანასკნელი 5 წელიწადია, ვერც მე მომიძებნია. რაც უფრო ხშირად ვკითხულობ ჩვენს ახლანდელ ძირითად კანონს, მით უფრო მძაფრდება ეს კითხვა, მით უფრო ბურუსით არის მოცული ჩემთვის, როგორ ვცდილობთ ჩვენ - საქართველოს მოქალაქეები - კონსტიტუციის პრეამბულაში დასახული ამოცანების შესრულებას. ნამდვილად ვერ გაიგებ ამას იმ დოკუმენტისგან, რომელმაც ტერიტორიული მოწყობის საკითხი გაურკვეველი ვადით გადადო, პარლამენტი პრეზიდენტის მეორე კანცელარიად აქცია, პრემიერ-მინისტრი - გაურკვეველი მოვალეობის მქონე სახელმწიფო მინისტრად (ამით ძალიან დაამსგავსა თავადვე კონსტიტუციას) და პრეზიდენტი - ყოველივე ამის ზედამხედველად, ამავე დროს, თითქმის ყველა სამინისტროსი და დეპარტამენტის კლერკად. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ოპერატიული სისტემა "ვინდოუს-95" დღეს გაცილებით სტაბილურად მუშაობს მომხმარებელთა კომპიუტერებზე, ვიდრე 95 წლის ქართული კონსტიტუცია, რომელსაც "ვარდების რევოლუციის" გმირები, ერთი მხრივ, და პრეზიდენტყოფილის ლოიალისტები, მეორე მხრივ, ისე აბურთავებდნენ, როგორც მათ

გულს მოესალბუნებოდა, ხოლო სინამდვილეში რა ეწერა შიგ, არავის ენაღვლებოდა.

ყოველივე ეს ჩავლილი ამბავია. ახლა ჩვენ გვყავს მესამე თაობის პოლიტიკური ელიტა, რომელსაც, როგორც ეტყობა, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, განაგრძოს აწ დამკვიდრებული "ქართული პოლიტიკური ტრადიცია" და ფუნდამენტურად შეცვალოს საქართველოს (პოლიტიკური) სისტემა. ჯერჯერობით პროცესებს არაფერი ეტყობა იმისა, რომ ამ ტრადიციის მეორე ნაწილი დაირღვევა და კონსტიტუციას საკუთარ თავს კი არა, სახელმწიფო ინტერესებს მოარგებენ. დამაფიქრებელია, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა იმიტომ უნდათ შემოიღონ, რომ გამარჯვებულთათვის სხვანაირად ადგილები ვერ გადანაწილდება ისე, როგორც ეს გამარჯვებულებს "ეკადრებათ"; დამაფიქრებელია, რომ არჩევნების გაყალბებით შეწუხებულმა ქართველმა პოლიტიკოსებმა საარჩევნო კოდექსი, რომელიც სათავე იყო რევოლუციური ცვლილებებისა, ისევ საკუთარ თარგზე გამოჭრეს. არადა, რაში სჭირდებოდათ ეს. ხომ ამკარა იყო, თავად (და თუნდაც მხოლოდ) ეღუარდ შევარდნაძე რომ ყოფილიყო იმ საარჩევნო კომისიის წევრი, გამარჯვებას ვინ მოიპოვებდა! დამაფიქრებელია, რომ ამ ახალ, მესამე ელიტას დღესაც არ ჩამოუყალიბებია ცხადად, თუ რისი გაკეთება სურს კონკრეტულად და რა ცვლილებებს უმზადებს ქართველ ხალხს. პრობლემა არა მარტო იმის არცოდნაა, თუ ახლა "რა დაწესებულებაში ვართ", არამედ იმისაც, თუ "რა დაწესებულებაში" აპირებენ ჩვენს გადაყვანას. ქართველ ხალხს უკვე ჰქონდა წარსულში იმის მწარე გამოცდილება, რომ მას იყენებენ და შემდეგ აღარაფერს ეკითხებიან, ქართულ ხელისუფლებას კი იმისა - თუ რა შეიძლება გააკეთოს ხალხმა, რომელიც თავისმა პოლიტიკურმა ელიტამ ფარეხში გამოკეტილ ფარასავით დაივიწყა. გამოცდილება ორივეს კი აქვს, მაგრამ ამ გამოცდილების გამოყენების უნარს, სამწუხაროდ, არც ერთი ამჟღავნებს.

ახალი ქართული ხელისუფლება ძალიან ბევრს ცდილობს, კარგი სახელი მოიპოვოს როგორც შინ, ისე გარეთ. მისი პირველი პირები ხელზე მთხვევით ხვდებიან პატრიარქს და უჩოქებენ მაშინ, როცა პრეზიდენტყოფილი მხოლოდ ხელის ჩამორთმევითა და გადაკოცნით კმაყოფილდებოდა. ისინი გელათში მიდიან დავით აღმაშენებლის საფლავზე დასაფიცებლად მაშინ, როცა პრეზიდენტყოფილმა მთაწმინდაზე ასვლა იკმარა. ისინი ახალი რეზიდენციის შექმნით არიან გართული მაშინ, როცა პრეზიდენტყოფილი კომუნისტური კანცელარიის შენობას დასჯერდა... ყოველივე ეს იწვევს ქართველი და მსოფლიო საზოგადოებრიობის აღფრთოვანებას და ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური თამაშებისთვის. ამავე დროს ამ მოთამაშეთაგან, ჩანს, ვერავინ ხვდება, რომ დიდ რეფორმატორებს არ შეიძლება თანამედროვეთა 97-პროცენტის მხარდაჭერის იმედი ჰქონდეთ.

არც ერთი ამ ნაბიჯთაგანი არ ცვლის კატასტროფულ მდგომარეობას, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი და რომლის გამოსასწორებლადაც პრეზიდენტის რეზიდენციის შეცვლა ბევრს არაფერს მოიტანს. სამწუხაროდ დადასტურება იმისა, რომ დასავლეთში განათლებამიღებული ახალი - მესამე თაობის - პოლიტიკოსთა მენტალიტეტი ბევრით არაფრით განსხვავდება წინანდლებისგან, ეს უკანასკნელი ფაქტიც არის: სიამაყით გვიცხადებენ, რომ პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის გასარემონტებლად სახელმწიფო თანხებიდან ერთი თეთრიც არ დაიხარჯება. მე, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს, მიჩნდება კითხვა, აბა, ვინ დააფინანსებს ყოველივე ამას? პასუხი, ბატონებო, მარტივია: 1. კერძო პირები; 2. უცხოეთიდან შემოსული დახმარება; 3. გაიყიდება რამდენიმე სახელმწიფო აგარაკი.

სამივე ვარიანტი ერთმანეთზე უარესი და შემამფოთებელია: პირველიდან გამოდის, რომ საქართველოს ხელისუფლება ქრთამს იღებს კერძო პირებისგან. მეორე ვარიანტით თვალნათელი ხდება, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჰგონია, მას უგზავნიან დახმარებას და არა ქართველ ხალხს! ამ ფულს კი, რასაც უნდა, იმას მოახმარს. მესამიდან ჩანს, რომ სახელმწიფო ქონება ამ ახალ პოლიტიკურ თაობასაც ხალხის ქონებად არ მიაჩნია და დარწმუნებულია, ისე გაყიდის, როგორც მოესურვება და თურმე ამ ფინანსური ოპერაციის თანხები საბიუჯეტო არ ყოფილა.

ფაქტები, რომელთაც მე აქ გასაანალიზებლად მოვიხმობ, შეიძლება წვრილმანებად მოეჩვენოს ადამიანს და ასეც არის, ყოველივე ზემოთქმული წვრილმანი ნაბიჯებია, სხვაზე ყურადღებას ვერ გავამახვილებთ, "მსხვილმანი ჯერ ახალ - მესამე თაობის - პოლიტიკურ ელიტას არაფერი გაუკეთებია. იტყვიან, არც უნდა მოვითხოვოთ მათგან ძალიან ბევრი. ამისთვის ცოტა დრო გავიდაო. ცოტა დრო გავიდა სასიცოცხლო მნიშვნელობის პოლიტიკური რეფორმების განსახორციელებლად აუცილებელი, აზრიანი გეგმის შესამუშავებლად, ხოლო საკმაოდ დრო პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის მოსაწყობად!

უკანასკნელი ათი წლის საქართველოს ყოველ მმართველს ყველაზე მარტივი წესი ავიწყდება (ანდა ივიწყებს): ნებისმიერი ქვეყნის მშენებლობა პოლიტიკური და არა სხვა რაიმე გარდაქმნებით იწყება, პოლიტიკური გარდაქმნა საფუძველი უნდა იყოს იმ ეკონომიკური ცვლილებებისა, რომლებსაც ახალი პრეზიდენტი აპირებს (თუმცა ამასვე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, რადგანაც ზეპირი განცხადებების მეტი არაფერი ჩანს).


დამაფიქრებელია, რომ ათ წელზე მეტია, გვაქვს სახელმწიფო, რომელშიც ყველაფერი განუსაზღვრელი და დროებითია. საქართველოში, ალბათ, ძნელად მოიძებნება თუნდაც ორი პოლიტიკოსი მაინც, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნისთვის ფუნდამენტურ კითხვაზე - რა არის მათი სახელმწიფოს ნაციონალური იდეა, ერთნაირ პასუხს გაცემენ, ხოლო საერთოდ ვერ მოიძებნება ისეთი, ვინც გეტყვით, თუ რას ამბობს ამასთან დაკავშირებით ქართული კონსტიტუცია. გაუგებარია, რა არის ის გამაერთიანებელი, ის საყოველთაო ღვრიტა, რომელიც აიძულებს ეთნიკურ ქართველს, ეთნიკურ სომეხს, ეთნიკურ აზერბაიჯანელს ერთად აშენონ ქართული სახელმწიფო, ლოიალური იყვნენ მისადმი; რა არის ღვრიტა, რომელიც აფხაზებსა თუ ოსებს ჩვენკენ მოუბრუნებს გულს.

ეს პრობლემები გადაწყვეტილი არ არის და არც არავინ ფიქრობს მათ გადაწყვეტას. მათ მოუგვარებლად კი სხვა საკითხებზე ყურადღების გამახვილება მეტი არაფერია, თუ არა სიმპტომებთან უაზრო ბრძოლა. ათი წელიწადია, ვაშენებთ სახლს უსაძირკვლოდ და შემდეგ ისევ რევოლუციურად გვიწევს მისი დანგრევა. გვაქვს დემოკრატიული პრინციპები არა იმიტომ, რომ ისინი პოლიტიკური სისტემის სტაბილურობასა და მოქალაქეთა კეთილდღეობას უზრუნველყოფს, არამედ იმიტომ, რომ მათი ქონა თანამედროვე მსოფლიოში მოდური რამაა, რომ ის კარგ იმიჯს ქმნის დასავლეთთან ურთიერთობისთვის. ჰოდა, მაშ იყოს მანამ, სანამ ხელს არავის უშლის, დემოკრატია დროებითად, სამართალი დროებითად, კონსტიტუცია დროებითად, პრეზიდენტი დროებითად, საარჩევნო სისტემა დროებითად, სახელმწიფო სისტემა დროებითად, მოკლედ, საქართველო აღ ინტერიმ. მთავარია, რომ მუდმივად არის მსურველი ამ ერთი დროებითის მეორე დროებითობით რევოლუციურად შეცვლისა.


ციურიხი, შვეიცარია.

(c) გაზეთი " ახალი ეპოქა "

(c) ქართული პრესის კომპიუტერული არქივი



2004 წელი



მიგვწერეთ : opentext@flashmail.com